ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი **24.11.2025 წელი**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ვლადიმერ ნანაძე, ტატო ურუშაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი.**

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელები და ბუღალტრები:

ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის“ დირექტორი **ზაალ სანაძე,** ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ დირექტორი **დიმიტრი მარშანიშვილი,** ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი **გოდერძი ქურიძე,** შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორი **ეკატერინე ჩუბინაშვილი,** ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრის“ დირექტორი **გოჩა მოქია,** ა(ა)იპ „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი **ირმა კეშელავა,** ა(ა)იპ „სკოლამდელი საყმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **მარინა კეიდია,** ა(ა)იპ სახელოვნებო სამუსიკო სკოლათა გაერთიანების“ დირექტორი **ლია ურუშაძე,** შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი **ვალერიან წულაძე** და შპს „ლანჩხუთის“ დირექტორი **ლევან იმნაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით ქონების გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 2311303 ლარი, რაც გეგმის 144,5%-ს შეადგენ, გადაჭარბება ძირითადში გამოწვეულია გაუთვალისწინებელი უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის 676210 ლარის შემოსავლის მიღებით, რაც უნდა აისახოს მიმდინარე წლის შემოსავლების გეგმაში, ასევე უნდა გაიზარდოს მიწის იჯარიდან შემოსავალი 5400 ლარით, შემოსავალი სანებართვო მოსაკრებლიდან 13000 ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან 3100 ლარით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავალი 16500 ლარით, შემოსავლების გეგმის ზრდის გათვალისწინებით უნდა შემცირდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსავალი 76700 ლარით, შემოსავალი მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობიდან 270000 ლარით, შემოსავალი პროცენტებიდან 50000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 17401 ლარით, ფინანსური დახმარების გეგმა 400000 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2360832 ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (კერძო სახლების) კომპენსაციის გაცემის მიზნით.

საქართველოს მთავრობის N1207 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 298249 ლარი „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად და მიიმართება: 121108 ლარი მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე, 177141 ლარი გზების კაპიტალურ შეკეთების სამუშაოებზე.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსებაზე (დელეგირებული) მიიმართოს მიზნობრივი ტრანსფერი 49734,95 ლარი, მათ შორის; შრომის ანაზღაურებაზე 4386 ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 87937 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ მერიაში შემოსული წინადადებების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს გადასახდელების დამტკიცებულ ასიგნებების ფარგლებში კორექტირება; კერძოდ, შემცირდეს მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების ხარჯის დაფარვა (ვალუტის კურსის გათვალისწინებით) 3755 ლარით, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება 9900 ლარით, წყლის სისტემის რეაბილიტაციის დაფინანსება 57546 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების მუხლი 22500 ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლი 27000 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 51010 ლარით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 39000 ლარით, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 32000 ლარით, დასუფთავება და ნარჩენების გატანის ოფისის მუხლი 80000 ლარით, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის მუხლი 23140 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 40000 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 7000 ლარით, საფეხბურთო კლუბების ხელშეწყობის დაფინანსება 145000 ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 10790 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 145 ლარით, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 5350 ლარით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 24040 ლარით.

ასევე შემცირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება 8360 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 15000 ლარით, მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 100000 ლარით.

ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძიებების დაფინანსების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შემდეგი საბიუჯეტო ღონისძიებების დაფინანსება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი 12200 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 11160 ლარით, წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის სხვა ხარჯების დაფინანსების მუხლი 61176 ლარით, გზების კაპიტალური შეკეთების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 198062 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაციის შრომის ანაზღაურების მუხლი 3010 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის შრომის ანაზღაურების მუხლი 3710 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 10100 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების საქონელი და მომსახურების მუხლი 20000 ლარით, დასუფთავება და ნარჩენების გატანის შრომის ანაზღაურების მუხლი 3180 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 185000 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის შრომის ანაზღაურების მუხლი 5690 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 19960 ლარით, განათლების ხელშეწყობის პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი 700 ლარით, ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა სუფსიდიის მუხლი 25000 ლარით, სპორტის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი 5950 ლარით, კაპიტალური დაბანდებები სპორტულ სფეროში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის დაფინანსება 121108 ლარით, კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 85500 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4500 ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 10935 ლარით, კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლის დაფინანსება 5600 ლარით, ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლით დაფინანსება 3000 ლარით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის შრომის ანაზღაურების მუხლის დაფინანსება 13540 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 10500 ლარით. სოციალური პროგრამის 700 ლარით, (ორგ.კოდი 060202) პროგრამის 4500 ლარით, (ორგ,კოდი 060207) პროგრამის 2000 ლარით, (ორგ.კოდი 060208) პროგრამის 4500 ლარით, (ორგ.კოდი 060211) პროგრამის 3000 ლარით, (ორგ.კოდი 060216) პროგრამის 9000 ლარით, (ორგ.კოდი 060219) პროგრამის 1000 ლარით, (ორგ.კოდი 060209) პროგრამის 5400 ლარით, (ორგ.კოდი 060220) პროგრამის 5000 ლარით, დაფინანსების შემცირების ხარჯზე (ჯამი 35100 ლარი) დამატებით დაფინანსება 84000 ლარით გაზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსება კერძოდ: (ორგ.კოდი 060203) პროგრამის 60000 ლარით. (ორგ.კოდი 060210) პროგრამის 10000 ლარით. (ორგ.კოდი 060214) პროგრამის 8000 ლარით. (ორგ.კოდი 060223) პროგრამის 1100 ლარით. (ორგ.კოდი 060224) პროგრამის 40000 ლარით.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ**

ლაშხიამ. მან ვრცლად ისაუბრა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე და აღნიშნა, რომ 2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 22056,0 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21570,0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2026 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 283,5 ათასი ლარით (1,3 %-ით). დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16058,0 ათასი ლარით;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 7,0 %-ით (1057,7 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2200,0 ათას ლარს;

2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ქონების გადასახადი 600 ათასი ლარით არის გაზრდილი , რაც გამოწვეულია უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის გაზრდით. გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 486 ათასი ლარით, მათ შორის:

2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 25,9 % ით გაიზარდა. მიზნობრივი გრანტი შეადგენს 486,0 ათ ლარს.

2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 540,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

რენტა 490,0 ათასი ლარი;

პროცენტები 50 ათასი ლარი

2025 წლის გეგმიური მაჩვენებელი 100 ათასი ლარით შემცირებულია , რაც გამოწვეულია პროცენტების შემოსავლის შემცირებით.

შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 72,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლები 20,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 12,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 40,0 ათასი ლარი; აღნიშნული შემოსავლები 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებთან არის შესაბამისობაში.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2500.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია მოსალოდნელი შესრულების გათვალიწინებით. ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული (შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან) 100,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 100,0 ათასი ლარს;

ამავდროულად ბიუჯეტი ითვალისწინებს ვალის დაფარვას 29,1 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 27541 ათას ლარს (2025 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 000000 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია: ინფრასტრუქტურის განვითარება - 5770,3 ათასი ლარი; მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 715,0 ათასი ლარი; წყლის სისტემების განვითარება -572,0 ათასი ლარი; გარე განათება - 850,0 ათასი ლარი; კეთილმოწყობის ღონისძიებები-1312,0 ათასი ლარი;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრულია 750,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და

ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

სოფლის პროგრამის მხარდაჭერა 300 ათასი ლარი

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი ლარი

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3275,0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2880,0 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 375,0 ათასი ლარი

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ ლანჩხუთში მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 5560,0 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 5500,0 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 60,0 ათასი ლარი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5525,3, ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2690,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებსაც.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2800,3 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ახალგაზრდობის მხარდაჭერა -35,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ახალგაზრდების ინიციატივებით წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1855,0 ათასი ლარი, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 310.0 ათ ლარი მმართველობა - 6726,7 ათასი ლარი, მათ შორის: საკრებულოს დაფინანსება - 1669 ათასი ლარი; მერია - 4648,6 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი; სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 34,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 29,1 ათასი ლარი და პროცენტი -5 ათასი ლარი. წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 5,0 ათასი ლარი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 300,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 486, ათასი ლარით.

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6697,6 ათასი ლარი; ეკონომიკური საქმიანობა - 1365 ათასი ლარი; გარემოს დაცვა - 3255 ათასი ლარი; საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3254 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 310 ათასი ლარი. დასვენება, კულტურა და რელიგია-5525,3 ათასი ლარი; განათლება -5560 ათასი ლარი; სოციალური დაცვა -1545 ათასი ლარი; როლანდ ლაშხიამ ასევე ვრცლად

ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ასევე მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ ებისა და შპს-ების წლიურ დაფინანსებაზე.

ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლის“ დირექტორმა **ზაალ სანაძემ** აღნიშნა, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი 650000 ლარი სრულიად საკმარისია აღნიშნული საფეხბურთო სკოლის ფუნქციონირებისთვის და ითხოვა მხოლოდ 10000 ლარის დამატება მწვრთნელთა ლიცენზირებისთვის. ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუკი მოხერხდება სპორტული დარბაზის გარემონტება.

ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრის“ დირექტორმა გოჩა მოქიამ აღნიშნა, რომ 2 ნაგვის გადამზიდი მანქანა სასწრაფოდ შესაცვლელია, ასევე შესაძენია მიკროავტობუსი და ეგრეთწოდებული „ამწე-კალათა“. ასევე აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მხოლოდ 100 ცალი ურნის შესაცვლელი თანხა, რაც არასაკმარისია და წლის განმავლობაში მინიმუმ 150 ცალი ნაგვის ურნა უნდა შეიცვალოს.

ია მოქიამ დააყენა წინადადება, რომ რადგან სოფელ გრიგოლეთი საკურორტო ზონაა აუცილებელია ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურეობის ცენტრმა“ სეზონზე უზრუნველყოს ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა ოთხფეხა პირუტყვისგან.

ვერიკო კვირკველიამ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ომის ვეტერანთა დაფინანსება შეადგენს 50 ლარს, რაც ძალიან მცირეა და დააყენა წინადადება, რომ აღნიშნული დაფინანსება გაიზარდოს მინიმუმ 100 ლარამდე. მან ასევე სხდომის წევრებს გააცნო ინიციატივა და წარმოადგინა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, მიუსაფარი ცხოველების თავშესაფრის მოწყობისა და ქ. ლანჩხუთში მდებარე „გურული მხედრების“ მოედნის კეთილმოწყობის.

გიორგი ჩახვაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჩიბათში ქარსაფარი ზოლში არსებული რამდენიმე ხე საფრთხის შემცველია და აუცილებელია მათი მოჭრა. **გოჩა მოქიამ** მზაობა გამოთქვა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

ლია ურუშაძემ აღნიშნა, რომ როგორც ქალაქის, ისე სოფელ სუფსის სამუსიკო სკოლების წინ არის მაღალი ხეები და აუცილებელია მოხდეს მათი გადაბელვა.

მარინა კეიდიამ აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის“ წლიური დაფინანსება შეადგენს 5 500 000 ლარს, რაც სრულიად საკმარისია. მასში შედის ხელფასების 10%იანი ზრდაც. **ალექსანდრე მახათაძემ** დასვა შეკითხვა ეწრისა და სოფელ ჯურუყვეთის საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით რა იგეგმებოდა, რაზეც **მარინა კეიდიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ სოფელ ეწრის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს იანვრიდან დაეთმობათ გარკვეული ფართი სოფელ ნინოშვილის ახალაშენებულ საბავშვო ბაღში და ასევე მოხდება მათი ტრანსპორტირებაც და რაც შეეხება სოფელ ჯურუყვეთის საბავშვო ბაღს მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

ა(ა)იპ „ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა **ირმა კეშელავამ** აღნიშნა, რომ ცენტრის კუთვნილი ავტომანქანა გამოსულია მწყობრიდან, მისი შეკეთება ყოველწლიურად საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ასევე ვერ ხერხდება მაღალმთიან სოფლებში გადაადგილება, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ავტომანქანის შეძენა. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის სადეზინფექციო ჯგუფის დაფინანსება ხდება მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით, რაც ძალიან მცირეა. აღნიშნული ჯგუფის საქმიანობა მეტად შრომატევადია, ამიტომ ცენტრის ხელმძღვანელმა ითხოვა თანხის დამატება აღნიშნული ჯგუფის დასაფინანსებლად.

ლია ურუშაძემ აღნიშნა, რომ სახელოვნებო სკოლის დაფინანსება წლის განმავლობაში სრულიად საკმარისია, მაგრამ ინსტრუმენტები არის მოძველებული, რესტავრაციას აღარ ექვემდებარება და აუცილებელია მათი შეცვლა.

ვალერიან წულაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი ვალდებულების დაფარვის თანხა (ქონებისა და მიწის გადასახადი). მან ასევე აღნიშნა, რომ შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“ გამართული მუშაობისთვის ესაჭიროება დამატებით ერთი ავტობუსი, ევაკუატორი-ლაფეტი, თვითმცლელი და ტექნიკური მომსახურეობის მანქანა. ასევე ძალიან მწირია ტრაქტორის მძღოლების ხელფასი და კარგი იქნება 10%-იან მატებასთან ერთად თუ გავითვალისწინებთ დამატებით 100 ლარიან მატებასაც.

დიმიტრი მარშანიშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში არსებული რაგბის სტადიონი საჭიროებს გასახდელ-საშხაპეების მოწყობას. ასევე აუცილებელია საცურაო აუზს ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაოები. მისი თქმით ბავშვთა კვებაზე (თითო ბავშვზე) გამოყოფილია მხოლოდ 15 ლარი, რაც ძალიან ცოტაა და კარგი იქნება თუ ეს თანხა გაიზრდება 25 ლარამდე, რასაც სჭირდება საკრებულოს თანხმობა.

გოდერძი ქურიძემ აღნიშნა, რომ კულტურის გაერთიანების ბიუჯეტი არის საკმარისი წლის განმავლობაში. მასში გათვალისწინებულია ხელფასების 10%იანი ზრდაც. მომავალ წელს დაგეგმილია დღესასწაული „ლანჩხუთობის“ მოწყობა, აღდგენილი იქნა ანსამბლი „მხედრები“ და ასევე იგეგმება ახალი სპექტაკლი.

ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ კარგი იქნება კულტურის ცენტრში თუ იარსებებს სამსახიობო წრე. **გოდერძი ქურიძემ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა. მან ასევე აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული კუთხით, თეატრში, ფინანსების არქონის გამო რაიმე სარემონტო სამუშაოები მომავალ წელს დაგეგმილი არ არის, თუმცა სახურავი არის ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებს შეცვლას. არის ასევე საპირფარეშოს პრობლემაც. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სულ 18 ბიბლიოთეკაა და აქედან მხოლოდ რამდენიმე ფუნქციონირებს. წიგნები არის ძალიან ძველი და სიცოცხლისთვის საშიშიც. აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე მოხდეს რეაგირება. **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია ჩატარდეს ინვენტარიზაცია.

ია მოქიამ აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში კულტურის სახლს არ გააჩნია საპირფარეშო და ბავშვები სარგებლობენ ახლომდებარე მუნიციპალური შენობის საპირფარეშოთი. ამიტომ აუცილებელია მომავალ წელს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

ტატო ურუშაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის პრობლემა დგას ქალაქის ტერიტორიაზეც, კერძოდ ქალაქში არ არსებობს საზოგადოებრივი საპირფარეშო და აუცილებელია აღნიშნული საკითხის მოგვარება.

თამარ ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი 24 სოციალური პროგრამით იყო განსაზღვრული, 2026 წელს მოხდა ფორმირება და ერთ კოდში გაერთიანდა რამდენიმე პროგრამა და განისაზღვრა 14-ით.

ია მოქიამ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საშეშე მერქნით დახმარების პროგრამით დაფინანსება გაიზარდოს და გახდეს 250 ლარი, რასაც დაეთანხმნენ კომისიის წევრები. მან ასევე მადლობა გადაუხადა სოციალურ სამსახურს და სამსახურის უფროსს გაწეული მუშაობისთვის.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ იგი მიესალმება წარმოდგენილ ინიციატივას, მაგრამ იმისათვის, რომ სამომავლოდ არ შეიქმნას გარკვეული პრობლემები, აუცილებელია მსგავსი მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი სხვა მუნიციპალიტეტებშიც მოეწყოს.

ია მოქიამ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სოფელ სუფსაში, „თევზის ფესტივალის“ დაფინანსება სასურველია გაიზარდოს 5000 ლარით.

თენგიზ ხუხუნაიშვილმა აღნიშნა, რომ „ახალგაზრდული სივრცის“ შენობა საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ შშმ პირები სახელოვნებო სკოლებში, კულტურის ცენტრსა და სპორტულ ცენტრებში არსებული წრეებიდან გათავისუფლებული იქნებიან გადასახადებისგან..

გოჩა ჯანაშიამ გამოთქვა მოსაზრება და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 237 პირველკლასელია და კარგი იქნება თუ მოხდება მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოხდეს პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფა.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტი შემოსავლით და ხარჯვით ნაწილში დაუბალანსებელია და საჭიროებს დამუშავებას. ამ და ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა დაუბრუნდეს მერს შემდგომი დამუშავებისთვის, რასაც დაეთანხმნენ დეპუტატები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-9, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას მწვრთნელთა ლიცენზირებისათვის დამატებით ესაჭიროება 10000 ლარი.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს არსებული ამორტიზირებული ავტომობილის გამართული ავტომობილით ჩანაცვლება.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“ გამართული ფუნქციონირებისთვის დამატებით ესაჭიროება ერთი ავტობუსი და ტექნიკური მომსახურეობის მანქანა.
4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“ ესაჭიროება დამატებით დაფინანსება სოფ. შუხუთში რაგბის სტადიონზე გასახდელ-საშხაპეების მოსაწყობად.
5. ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება ნაცვლად 50 ლარისა განისაზღვროს მინიმუმ 100 ლარით.
6. ბენეფიციარების საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი დაფინანსების თანხა 150 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 250 ლარით.
7. სოფელ სუფსაში „თევზის ფესტივალის“ დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნებულ იქნას მერისთვის შემდგომი დამუშავებისათვის.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №7

ქ. ლანჩხუთი

24.11.2025 წელი

2025 წლის 24 ნოემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გათვალისწინებით:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას მწვრთნელთა ლიცენზირებისათვის დამატებით ესაჭიროება 10000 ლარი.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს არსებული ამორტიზირებული ავტომობილის გამართული ავტომობილით ჩანაცვლება.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შპს „ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიას“ გამართული ფუნქციონირებისთვის დამატებით ესაჭიროება ერთი ავტობუსი და ტექნიკური მომსახურეობის მანქანა.
4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ ცენტრს“ ესაჭიროება დამატებით დაფინანსება სოფ. შუხუთში რაგბის სტადიონზე გასახდელ-საშხაპეების მოსაწყობად.
5. ომის ვეტერანთა ყოველთვიური დახმარება ნაცვლად 50 ლარისა განისაზღვროს მინიმუმ 100 ლარით.

6. ბენეფიციარების საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი დაფინანსების თანხა 150 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 250 ლარით.
7. სოფელ სუფსაში „თევზის ფესტივალის“ დაფინანსება გაიზარდოს 5000 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი დაბრუნებულ იქნას მერისთვის შემდგომი დამუშავებისათვის.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.11.2025 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 45	
2	ია მოქია	10:20	
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10 55	
5	ტატო ურუშაძე	10 50	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 50	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	10 50	
8	ვერიკო კვირკველია	11.00	
9	გოჩა ჯანაშია	10 55	